

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მონიტორინგის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.electionreforms.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2012 წლის 03 მარტი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge


info@idfi.ge




საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
www.electionreforms.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები

ოფიციალური ვებ-გვერდის საინფორმაციო გამჭვირვალობა IDFI
პარამეტრების მიხედვით






საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

➤ ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

1. ვებ-გვერდზე არ მოიძებნა სწავლების ცენტრის ხელმძღვანელობის შესახებ სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სწავლების ცენტრის დირექტორის ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და კომპეტენციის აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება დირექტორის ფაქსის ნომერი. დირექტორის სახელი, გვარი და საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტა და ტელეფონის ნომერი წარმოდგენილია მხოლოდ ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სტრუქტურა“:



საჯარო სამართლის იურიდიული პირის საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის სტრუქტურა.

ნათია ზაალიშვილი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორი
nzaalishvili@electionreforms.ge
Tel: (832) 612111

ნინო ბერულავა

დირექტორის მოადგილე
nberulava@electionreforms.ge
Tel: (832) 612111

გიორგი მონიავა

ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი
gmoniava@electionreforms.ge

ლევან ტურაშვილი

სასწავლო პროგრამების განყოფილების უფროსი
lturashvili@electionreforms.ge

მიხეილ დევიდარიანი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის განყოფილების უფროსი
mdevdariani@electionreforms.ge

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ცენტრის დირექტორი“, სადაც განთავსდება დირექტორის შესახებ ყველა სახისზემოდ ხსენებული შესაბამისი ინფორმაცია, მათ შორის სასურველია, ხსენებულ შესაქმნელ (ქვე-)განყოფილებაში მოცემულ იქნეს იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სწავლების ცენტრის დირექტორის; სწავლების ცენტრის მოქმედი დებულების თანახმად, სწავლების ცენტრის დირექტორს ცესკოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცესკოს თავმჯდომარე.

აგრეთვე, სასურველია, სწავლების ცენტრის დირექტორის საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები, განთავსდეს აგრეთვე, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კონტაქტები“:

კონტაქტები

იურიდიული მისამართი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ

ელექტრონული მისამართი

centre@electionreforms.ge

- არ მოიძიება სწავლების ცენტრის დირექტორის მოადგილის ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და კომპეტენციის აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება მოადგილის ფაქსის ნომერი.

მოადგილის სახელი, გვარი და საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტა და ტელეფონის ნომერი წარმოდგენილია მხოლოდ ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სტრუქტურა“:

ENG  GEO 

მთავარი გვერდი

ჩვენ შესახებ

სტრუქტურა

სამოქმედო გეგმა

პარტნიორები

ნორმატიული ბაზა

პროექტები

ტრენინგი

იურიდიული კლინიკა

მონიტორინგი

ბიბლიოთეკა

ცენტრის ანგარიში

გალერეა

გამოკითხვები

არქივი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის სტრუქტურა.

ნათია ზაალიშვილი
საჯარო სამართლის იურიდიული პირის საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორი
nzaalishvili@electionreforms.ge
Tel: (832) 612111

ნინო ბერულავა
დირექტორის მოადგილე
nberulava@electionreforms.ge
Tel: (832) 612111

გიორგი მონიავა
ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი
gmoniava@electionreforms.ge

ლევან ტურაშვილი
სასწავლო პროგრამების განყოფილების უფროსი
lturashvili@electionreforms.ge

მიხეილ დევიდარიანი
საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის განყოფილების უფროსი
mdevdariani@electionreforms.ge

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება, სათაურად „დირექტორის მოადგილე“, სადაც განთავსდება მოადგილის შესახებ ყველა სახის ზემოტ ხსენებული შესაბამისი ინფორმაცია.

აგრეთვე, სასურველია, მოადგილის საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები, განთავსდეს აგრეთვე, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კონტაქტები“:

კონტაქტები

იურიდიული მისამართი


ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ

ელექტრონული მისამართი

centre@electionreforms.ge

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, აგრეთვე, სწავლების ცენტრის საფოსტო მისამართი და ფაქსის ნომერი;

3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სწავლების ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი, ვებ -გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კონტაქტები“ სწავლების ცენტრის საკონტაქტო რეკვიზიტებს შორის მოცემულია მხოლოდ ელექტრონული ფოსტის მისამართი:



4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სწავლების ცენტრის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ერთეულების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება სწავლების ცენტრის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

5. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ მოცემულია სწავლების ცენტრის ისტორიის შესახებ ძალზედ მწირი ინფორმაცია:

- მისამართი ბაზა
- ჩვენ შესახებ
- სტრუქტურა
- სამოქმედო გეგმა
- პარტნიორები
- ნორმატიული ბაზა
- პროექტები
- ტრენინგი
- იურიდიული კლინიკა
- მონიტორინგი
- ბიბლიოთეკა
- ცენტრის ანგარიში
- გალერეა
- გამოკითხვები
- არქივი

სიახლეები

ჩვენ შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი შეიქმნა საქართველოს ორგანულ კანონში "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 2009 წლის 28 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. ცენტრის საქმიანობის მიზნები და ამოცანები უკავშირდება კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების, საარჩევნო პროცესისადმი ამომრჩეველთა ნდობის ამაღლებისა და მოუკერძოებელი, გამჭვირვალე არჩევნების ჩატარების ხელშეწყობას. აღნიშნულის გათვალისწინებით ცენტრი თავის საქმიანობას სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებს:

- საარჩევნო რეფორმების ხელშეწყობა;
- არჩევნების მონიტორინგის განხორციელება;
- კომპეტენციის ფარგლებში საარჩევნო სისტემების სრულყოფის მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;
- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეების, პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედია-საშუალებების წარმომადგენლების, ამომრჩეველთა კორპუსისა და სხვა დაინტერესებული პირების სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით ერთობლივი პროექტების განხორციელება არჩევნების ინსტიტუტის განვითარებისა და რეფორმირების ხელშეწყობის მიზნით;
- პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ამ მიზნით მათი დაფინანსების უზრუნველყოფა;
- დაკისრებული ფუნქციების ეფექტური განხორციელების მიზნით დარგის ექსპერტების მოწვევა;
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

ვებ-გვერდზე სასურველია, შეიქმნას (ქვე-)განყოფილება სათაურად „ისტორია“, სადაც განთავსდება სწავლების ცენტრის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია.

6. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ მართალია მოცემულია სწავლების ცენტრის ფუნქციები და უფლებამოსილებები, თუმცა, სასურველია, ხსენებულ განყოფილებაში განთავსდეს სწავლების ცენტრის მოქმედი დებულების მიხედვით განსაზღვრული სწავლების ცენტრის ფუნქციებისა და უფლებამოსილებების დეტალური აღწერა:

- მისამართი ბაზა
- ჩვენ შესახებ
- სტრუქტურა
- სამოქმედო გეგმა
- პარტნიორები
- ნორმატიული ბაზა
- პროექტები
- ტრენინგი
- იურიდიული კლინიკა
- მონიტორინგი
- ბიბლიოთეკა
- ცენტრის ანგარიში
- გალერეა
- გამოკითხვები
- არქივი

სიახლეები

ჩვენ შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი შეიქმნა საქართველოს ორგანულ კანონში "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 2009 წლის 28 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. ცენტრის საქმიანობის მიზნები და ამოცანები უკავშირდება კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების, საარჩევნო პროცესისადმი ამომრჩეველთა ნდობის ამაღლებისა და მოუკერძოებელი, გამჭვირვალე არჩევნების ჩატარების ხელშეწყობას. აღნიშნულის გათვალისწინებით ცენტრი თავის საქმიანობას სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებს:

- საარჩევნო რეფორმების ხელშეწყობა;
- არჩევნების მონიტორინგის განხორციელება;
- კომპეტენციის ფარგლებში საარჩევნო სისტემების სრულყოფის მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;
- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეების, პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედია-საშუალებების წარმომადგენლების, ამომრჩეველთა კორპუსისა და სხვა დაინტერესებული პირების სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით ერთობლივი პროექტების განხორციელება არჩევნების ინსტიტუტის განვითარებისა და რეფორმირების ხელშეწყობის მიზნით;
- პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ამ მიზნით მათი დაფინანსების უზრუნველყოფა;
- დაკისრებული ფუნქციების ეფექტური განხორციელების მიზნით დარგის ექსპერტების მოწვევა;
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

➤ საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სწავლების ცენტრის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სწავლების ცენტრის სტრუქტურის სქემატური აღწერა (სტრუქტურული ხე);
- არ მოიძიება სწავლების ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი;
- არ მოიძიება სწავლების ცენტრის სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;
- არ მოიძიება სწავლების ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე მათი ფაქსის ნომრები.

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სტრუქტურა“ მოცემულია სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მხოლოდ სახელები და გვარები, ელექტრონული ფოსტის მისამართები და ტელეფონის ნომრები:

ENG   GEO

მთავარი გვერდი

ჩვენ შესახებ

სტრუქტურა

სამოქმედო გეგმები

პარტნიორები

ნორმატიული ბაზა

პროექტები

ტრენინგი

იურიდიული კლინიკა

მონიტორინგი

ბიბლიოთეკა

ცენტრის ანგარიში

გალერეა

გამოკითხვები

არქივი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის სტრუქტურა.

ნათია ზაალიშვილი
საჯარო სამართლის იურიდიული პირის საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორი
nzaalishvili@electionreforms.ge
Tel: (832) 612111

ნინო ბერულავა
დირექტორის მოადგილე
nberulava@electionreforms.ge
Tel: (832) 612111

გიორგი მონიავა
ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი
gmoniaa@electionreforms.ge

ლევან ტურაშვილი
სასწავლო პროგრამების განყოფილების უფროსი
lturashvili@electionreforms.ge

მიხეილ დევდარიანი
საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის განყოფილების უფროსი
mdevdariani@electionreforms.ge

ამასთან, სასურველია, სწავლების ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები, განთავსდეს აგრეთვე, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში, სათაურად „კონტაქტები“:

კონტაქტები

იურიდიული მისამართი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ

ელექტრონული მისამართი


centre@electionreforms.ge

- არ მოძიება სწავლების ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.


➤ მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ

8. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს ვაკანსიებისა და ტენდერების შესაბამისი (ქვე)-განყოფილება), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების მონაცემთა ბაზა, სწავლების ცენტრის საქმიანობის ამსახველი ვრცელი წლიური და კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები, პროგრამები და პროექტები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები და ა.შ.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება სათაურად „პროექტები“ არ იხსნება:



ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება სათაურად „ტრენინგი“ ცარიელია:




ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „იურიდიული კლინიკა“ არსებული ბმული „ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი“ – „იხ. მემორანდუმი“ არ იხსნება:

ამ ეტაპზე იურიდიული კლინიკაში სასწავლო პროგრამას გაივლიან კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის სამართლის სკოლის იურიდიული ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები. მომავალში აღნიშნული ფორმით საარჩევნო სამართლის სწავლების უზრუნველყოფა იგეგმება სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც.

კლინიკის გახსნისას კავკასიის სამართლის სკოლის სტუდენტებს მიესალმნენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე - ზურაბ ხარატიშვილი და ცენტრის დირექტორი - ნათია ზაალიშვილი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მსგავსი ტიპის სასწავლო კურსების განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებას საარჩევნო სამართლის დარგში, რის საფუძველზეც საარჩევნო ადმინისტრაციის სისტემაში შეიქმნება კვალიფიციური იურისტების ბაზა.

იურიდიულ კლინიკაში საარჩევნო სამართლის დარგში სასწავლო პროგრამას განახორციელებენ ცენტრის წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო სამართლის დარგში იურიდიული კლინიკა, როგორც ნოვაცია პირველად შეიქმნა კავკასიის უნივერსიტეტისა და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ერთობლივ ბაზაზე.



03/11/10

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საარჩევნო სამართლის დარგში სასწავლო პროგრამის განხორციელების შესახებ.

(იხ. მემორანდუმი)



16/11/10

იურიდიული კლინიკის გახსნა

404 Error - File not found!

The following error occurred:

The requested URL was not found on this server.

Please check the URL or contact the Webmaster.

powered by [ISPConfig](#)

ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება სათაურად „გამოკითვები“ არ იხსნება:

მთავარი ბაზა
ჩვენ შესახებ
სტრუქტურა
სამოქმედო გეგმა
პარტნიორები
ნორმატიული ბაზა
პროექტები
ტრენინგი
იურიდიული კლინიკა
მონიტორინგი
ბიბლიოთეკა
ცენტრის ანგარიში
გალერეა
გამოკითვები
არქივი გამოკითვები

➤ ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები

9. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სიახლეები“ განთავსებულია მწირი რაოდენობის საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვები სწავლების ცენტრის საქმიანობის შესახებ. ხსენებულ განყოფილებაში წარმოდგენილი უკანასკნელი საინფორმაციო ხასიათის ცნობა თარიღდება 2010 წლის ნოემბრის თვით, რაც შესაძლებლობას არ აძლევს მომხმარებელს, გაეცნოს 2010 წლის ნოემბრის თვემდე სწავლების ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ მიმოხილვებს:

- **05/04/11**
საგრანტო კონკურსი
- **25/03/11**
კავკასიის სამართლის სკოლის სტუდენტების შეხვედრა საარჩევნო ადმინისტრაციასთან
- **07/03/11**
საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების ვიზიტი ლატვიის რესპუბლიკაში
- **25/02/11**
სამუშაო შეხვედრა/სემინარი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საარჩევნო სამართლის დარგში სასწავლო პროგრამის იმპლემენტაციასა და განხორციელებასთან დაკავშირებით
- **30/12/10**
აქცია აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებისათვის
- **15/12/10**
საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის თანამშრომლებმა "BRIDGE" - ის ტრენინგი გაიარეს
- **01/12/10**
ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება საქართველოს რეგიონებში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან
- **22/11/10**
2010 წლის 29 ოქტომბერს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის საფუძველზე, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით შერჩეული საგრანტო პროექტები
- **16/11/10**
იურიდიული კლინიკის გახსნა




ვებ-გვერდზე არ მოიძიება სწავლების ცენტრის ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ შემდეგი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება სწავლების ცენტრის დირექტორის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები;

- არ მოიძიება სწავლების ცენტრის დირექტორის მოადგილის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები და ცნობები მისი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში.

10. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სწავლების ცენტრის ანგარიში“ განთავსებულია მხოლოდ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოების ანგარიშის აღწერა. სასურველია, ხსენებულ განყოფილებაში განთავსდეს სწავლების ცენტრის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული საქმიანობის ამსახველი წლიური და მიმდინარე/კვარტალური ანგარიშები:



სიახლეები

იურიდიული კლინიკის
კურსდამთავრებულებს
სერტიფიკატები გადაეცათ
06/02/12

ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის სტუდენტების
შეხვედრა საარჩევნო
ადმინისტრაციასთან
02/02/12

საოლქო საარჩევნო კომისიის
წევრები BRIDGE-ის ტრენინგს
გაივლიან
23/01/12

სტუდენტური დებატ - კლუბი
22/12/11

18/05/10

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოები და დამხმარე მასალები

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ მომზადდა სახელმძღვანელო:

- საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის;
- პოლიტიკური პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლებისათვის;
- დამკვირვებელი ორგანიზაციებისათვის;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომლებისათვის;
- პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებისათვის.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო ითარგმნა აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენაზე, რომელიც გავრცელდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში: გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, წალკის, თეთრიწყაროს, ახალციხის, ახალქალაქისა და წიწვოვანის საარჩევნო ოლქებში.

ცენტრის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელო ასევე ითარგმნა ინგლისურ ენაზე, რომელიც გადაეცა ეუთოს დამკვირვებელთა მისიას.

საარჩევნო უზენებისთვის მომზადდა კენჭისყრის დღის პროცედურების ამსახველი სხვადასხვა თვალსაჩინო მასალა.

სახელმძღვანელოები	ქართული	რუსული	აზერბაიჯანული	სომხური	ინგლისური
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის	1000				
საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის	51 000	1300	730	570	150

11. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა სწავლების ცენტრის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სწავლების ცენტრის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

სტატისტიკური ინფორმაცია განთავსებულია მხოლოდ ვებ-გვერდზე არსებულ საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვებში:

21/05/10

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგის პირველი ეტაპის ანგარიში

13 მაისს ქ. ქობულეთში სასტუმრო "განდ ჰოტელ პალასში", ფასილიტატორების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე, შეჯამდა საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ჩატარებული ტრენინგების პირველი ეტაპი, რომელიც ითვალისწინებდა სასწავლო პროგრამას საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების, მოადგილეებისა და მდივნებისათვის.

იხილეთ დანართი



24/05/10

სემინარი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლის სტუდენტებისათვის



17/05/10

ტრენინგი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენელთათვის



09/05/10

ტრენინგი სასჯელაღსრულების და პრობაციის სასწავლო ცენტრის თანამშრომლებისათვის



07/05/10

ტრენინგი ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციებისათვის



26/04/10

ტრენინგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთათვის

I ეტაპის ანგარიში


13 მაისს ქ. ქობულეთში სასტუმრო "განდ ჰოტელ პალასში", ფასილიტატორების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე, შეჯამდა საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ჩატარებული ტრენინგების პირველი ეტაპი, რომელიც ითვალისწინებდა სასწავლო პროგრამას საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების, მოადგილეებისა და მდივნებისათვის.

დასწრების სტატისტიკა:

მონაწილეთა რაოდენობა - 10 842

დამსწრეთა რაოდენობა - 9 812

დასწრების კოეფიციენტი - 90,5



12. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სწავლების ცენტრი. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სწავლების ცენტრი. *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სწავლების ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/saarchevnosistemebi_proeqtebi.pdf).

13. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს განყოფილება „პროექტები“, თუმცა ის არ იხსნება. აღნიშნულ განყოფილებაში სასურველია მოყვანილ იქნეს იმ პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სწავლების ცენტრი. აგრეთვე, ცნობები იმ პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სწავლების ცენტრი. *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული პროექტების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ჩამონათვალი და თითოეულ პროექტზე გახარჯული თანხის ოდენობა, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სწავლების ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/saarchevno.sistemebi_proeqtebi.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა, 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე

მხარეს წარმოადგენს ცენტრი, რომელიც ასევე მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სწავლების ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/saarchevnosistemebi_proeqtebi.pdf);

14. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს განყოფილება სათაურად „პარტნიორები“ თუმცა მასში განთავსებულია მხოლოდ პარტნიორ საქართველოს ორგანიზაციების ვებ-გვერდების ბმულები:

ENG  GEO 

მისამართი ბაზა

ჩვენ შესახებ

სტრუქტურა

სამოქმედო გეგმა

პარტნიორები

ნორმატიული ბაზა

პროექტები

ტრენინგი

იურიდიული კლინიკა

მონიტორინგი

ბიბლიოთეკა

ცენტრის ანგარიში

გალერეა

გამოკითხვები

არქივი

სიახლეები

იურიდიული კლინიკის
კურსდამთავრებულებს
სერთიფიკატები გადაეცათ
06/02/12

ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის სტუდენტების
შეხვედრა საარჩევნო
ადმინისტრაციასთან
02/02/12

საოლქო საარჩევნო კომისიის
წევრები BRIDGE-ის ტრენინგს
გაივლიან
23/01/12

პარტნიორები



გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში



საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი



კავკასიის უნივერსიტეტი



გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი




თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები „საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სწავლების ცენტრის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

➤ სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა

15. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ნორმატიული ბაზა“ განთავსებული ზოგიერთი სამართლებრივი აქტი მოცემულია ძველი მდგომარეობით, მათ შორის, სწავლების ცენტრის დებულება:



ამასთან, სასურველია, აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს აგრეთვე, სწავლების ცენტრის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს მინისტრის სამართლებრივი აქტები (არსებობის შემთხვევაში) და სამართლებრივი აქტების პროექტები.

სასურველია, აგრეთვე, მოიძიებოდეს, სწავლების ცენტრის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტები - ბრძანებები (მათ შორის, ცესკოს თანხმობით სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სწავლების ცენტრის სამტატო განრიგი, ხელფასის ფონდი და ხარჯთა ნუსხა. აგრეთვე, სწავლების ცენტრის დირექტორი ბრძანება სწავლების ცენტრის თანამშრომლების თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, თანამშრომლებს შორის ფუნქციებსა და მოვალეობების განმსაზღვრელი ბრძანება და სწავლების ცენტრში სტაჟირების წესის განმსაზღვრელი ბრძანება).

ამასთან, სწავლების ცენტრის დებულება და შინაგანაწესი (რომელიც არ მოიძიება) სასურველია, მოიძიებოდეს ცალკეულ ქვე-განყოფილებებში.

სასურველია აღნიშნულ (ქვე-)განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები (არსებობის შემთხვევაში).

ამასთან, ინფორმაციის მიმოფანტვის თავიდან აცილების მიზნით განყოფილებაში სათაურად „ბიბლიოთეკა“ არსებული სამართლებრივი აქტები სასურველია გადმოტანილ იქნეს განყოფილებაში „ნორმატიული ბაზა“:

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

16. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვით მიმოხილვა.

17. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სწავლების ცენტრში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სწავლების ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/saarchevno.sistemebi_sajaro.info.pdf).*

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სწავლების ცენტრსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, სწავლების ცენტრსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ტენდერები“, სადაც განთავსდება სწავლების ცენტრის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, სწავლების ცენტრის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და თითოეულ მათგანზე*

გახარჯული თანხის ოდენობა, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სწავლების ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/saarchevno.sistemebi_shesyidvebi.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სწავლების ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/saarchevnosistemebi_shesyidvebi.pdf).

➤ საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა

20. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“, სადაც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სწავლების ცენტრის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით), ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები), თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

➤ საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)

21. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სწავლების ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება სწავლების ცენტრისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება სწავლების ცენტრის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრისათვის მიმართული

ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის 2011 წლის მეორე კვარტალის შესრულების ბალანსი/ანგარიში), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სწავლების ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/saarchevno.sistemebi_biujeti.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი), რომელიც აგრეთვე მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სწავლების ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/saarchevnosistemebi_budget.pdf);


- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება სწავლების ცენტრის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გაცემული ხელფასების, დანამატებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა რაც შესაძლებელს ხდის სწავლების ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/saarchevno.sistemebi_xelfasebi.premiebi.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სწავლების ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:


- არ მოიძიება სწავლების ცენტრის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სწავლების ცენტრი;
- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სწავლების ცენტრისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:



ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი

■ ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე



➤ ნავიგაცია

ვებ-გვერდის მენიუს ღილაკი „მთავარი გვერდი“ არ არის ტექსტური, ხოლო სხვა მენიუს ღილაკები ტექსტურია. მენიუს ყველა ღილაკი სჯობს ერთიდაიგივე სტილით იყოს შექმნილი.

მაგ:




ასევე არ ფუნქციონირებს მისი ზოგიერთი ღილაკი. მაგალითად „პროექტები“ და „გამოკითხვები“:



➤ ძიება


ვებ-გვერდის ძიების მოდულში ავტომატურად არ იწერება ქართული უნიკოდით, რაც უარყოფითად აისახება ძიების მოდულზე

მაგ:



თუმცა უნდა აღინიშნოს, ის ფაქტიც, რომ ძიების მოდული არ ასრულებს თავის ფუნქციას და იგი ამჟამად მხოლოდ ვიზუალურ დატვირთვას ატარებს.

მაგ:



➤ მარტივად აღქმის კრიტერიუმები


აუცილებლად დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ვებ-გვერდს გააჩნია რუკების სისტემა, სადაც ასახულია საჯარო დაწესებულების ადგილმდებარეობა.

მაგ:



➤ ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა

ვებ-გვერდზე არ უნდა გვხვდებოდეს ცარიელი გვერდები, ან მათზე უნდა დაეწეროს შესაბამისი განმარტება, რომ ინფორმაცია ჯერ კიდევ მზადების პროცესშია. გვერდის განმარტების გარეშე დატოვება არასწორი მიდგომაა:



➤ სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი


ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსიაში CV-ის გაგზავნის ღილაკზე დაჭერით ავტომატურად ვხვდებით ქართულ ვერსიაში. თუ ვებ-გვერდი არის მულტიენოვანი, ნებისმიერი მოქმედების შემდეგ ვებ-გვერდმა უნდა შეინარჩუნოს არჩეული ენა.



➤ უსაფრთხოება

სერვერს HTTPS მხარდაჭერა აქვს, თუმცა ვებ-გვერდი მას არ იყენებს.

მაგ:



➤ დამატებითი პარამეტრები


აუცილებლად პოზიტიურად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ვებ-გვერდში არსებობს მასალა, რომელიც დეტალურად ასახავს საჯარო დაწესებულების საქმიანობასთან ასოცირებულ პროცედურებს, ამ შემთხვევაში საუბარია ხმის მიცემის პროცედურებზე. ამ გზით პროცედურების ვიზუალიზაცია მომხმარებლისთვის მარტივად აღსაქმელი და გასაგები ხდება.

მაგ:



ყველა გვერდს გააჩნია ერთიდაიგივე დასახელება (Title), რაც უარყოფითად აისახება საძიებო სისტემებში ინდექსაციაზე და ზოგადად ვებ-გვერდის სწორ გამოყენებაზე.

მაგ:



ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდზე შეინიშნება პრობლემები სხვადასხვა მოდულებთან დაკავშირებით, პირველ რიგში აღსანიშნავია ძიების მოდული, რომელიც ამჟამად უფუნქციოდ არის დარჩენილი, ასევე აუცილებლად უნდა გამოსწორდეს საკონტაქტო ფორმები და წესები, რომელიც არ არის სათანადო დონეზე შესრულებული. სხვა ისეთი საკითხები, როგორიც არის სოციალურ ქსელებთან ინტეგრაცია და ელექტრონული ჩართულობა სამწუხაროდ ვებ-გვერდს არ გააჩნია.